აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

19 მაისი 2006 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი გია გარსევანიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, საორგანიზაციო სამსახურის უფროსი სოფო ანსიანი, ეკონომიკური სამახურის უფროსი ლევან სამნიძე;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ;

(მომხს. თ. შარმანაშვილი)

2. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ქ. ჯიქია)

3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)
(თ. შარმანაშვილი)

5. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

(მომხს. გ. დუაძე)

6. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ;

(მომხს. ქ. ჯიქია)

7. ინფორმაცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

8. ინფორმაცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

9. ინფორმაცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)

10. ინფორმაცია საარჩევნო ოლქების შენობა-ნაგებობების შესახებ

(მომხს. ა. ჩავლეიშვილი)

11. სხვადასხვა

1. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგოს დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს:	სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ შარმანაშვილი, რომელმაც წარმოადგინა ლოგოს პროექტი
სიტყვით გამოვიდნენ:	კომისიის თავმჯდომარე, ა. მიქელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი დაუსრულებელია, რადგან ლოგოს აკლია გარეთა ლურჯი ფონი და წარწერა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია
გადაწყვიტეს:	დამტკიცებული იქნეს ლოგო შენიშვნების გათვალისწინებით
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 5; წინააღმდეგი 0;
	კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია დადგენილება:

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის "შ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ლოგო თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

(ნიმუში თან ერთვის)

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს:	კომისიის მდივანმა, ქეთევან ჯიქიამ სხდომას წარუდგინა რეგლამენტის პროექტი და ჩამოთვალა ყველა ის ხარვეზი, რის გამოც საჭირო გახდა მოქმედი რეგლამენტის შეცვლა. კერძოდ, დარღვეულია თავების, მუხლებისა და პუნქტების ნომერაცია, ზუსტად არ არის განსაზღვრული და გამიჯნული აპარატში შემავალი სამსახურების საერთო ვალდებულებები და კომპეტენცია. არის საკითხები,

რომლებიც საჭიროებს ჩამოყალიბებას და შესაბამის მუხლში ჩამატებას ქვეპუნქტის სახით, როგორიცაა, მაგალითად არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში საარჩევნო კომისიებისათვის საჭირო ინვენტარის, მატერიალურ ფასეულობათა, ბიულეტენების, ინსტრუქციების, სხვადასხვა სახის მასალების შეძენა და დაბეჭდვა; უსკოს დოკუმენტაციის არქივში განთავსება და შენახვა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად სასწავლო სემინარების, ტრეინინგების, კონფერენციებისა და საჯარო შეხვედრების გამართვის უზრუნველყოფა; უსკოს წევრების, აპარატის თანამშრომლების, და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მოწმობების მომზადება და გაცემა და სხვა, აღნიშნა გამომსვლელმა;

სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ შარმანაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მთლიანობაში სრულყოფილია, მაგრამ ამოსაღებია პირველი მუხლის მე-8 პუნქტი: "არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში უსკო მუშაობს კვირაში ექვსი სამუშაო დღის განმათვლობაში 10 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე)", ვინაიდან არჩევნების პერიოდში სამუშაო დღე არანორმირებულია და არანორმირებული სამუშაო დღის განსაზღვრა მოხდება კომისიის განკარგულებით;

დაადგინეს: დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი ცვლილებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს კანონის "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის "აჭარის ავტონომიურიი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი დანართის შესაბამისად

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2004 წლის 12 ნოემბრის №03 დადგენილება.

3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს:	სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა კომისიის შინაგანაწესის პროექტი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი გამომდინარეობს საქართველოს კანონიდან "საჯარო სამსახურის შესახებ" და შემუშავებულია USKOს აპარატის გამართული მუშაობისათვის
დაადგინეს:	დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესი
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 5; წინააღმდეგი 0;
	კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია დადგენილება:

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე და 73-ე მუხლების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შინაგანაწესი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსმა უზრუნველყოს:
ა) შინაგანაწესის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საჯარო მოსამსახურეთათვის გაცნობა;

ბ) უმაღლესი საარჩევნო კომისიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალის შემოღება და წარმოება;

3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

(ნიმუში თან ერთვის)

4. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

(მომხს. ა. მიქელაძე)
(თ. შარმანაშვილი)

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი აჭარის ა.რ.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი. მათ მუხლობრივად განიხილეს წარმოდგენილი პროექტი და გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. კერძოდ, 1.1. მუხლის ბ. პუნქტში "არანაკლებ 2 წლის გამოცდილება" შეიცვალოს "არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, 1.1. -ის დ. პუნქტსა და 1.2.-ის ბ. პუნქტს მოაკლდეს სიტყვა "EXCEL", 2.1.-ის ბ. პუნქტიდან ამოღებული იქნას სიტყვები: "საარჩევნო ადმინისტრაციაში", 2.1.-ის ბ. და 2.2.-ის ბ. პუნქტებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა " EXCEL", 3.1.-ის გ. და 3.2.-ის ბ. პუნქტებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა " EXCEL", 4.1. მუხლის ბ. პუნქტში "2 წლის" ნაცვლად დაიწეროს "1 წლის", 5.1.-ის ბ. პუნქტში "2 წლის" ნაცვლად დაიწეროს "1 წლის", 5.1.-ის გ. და 5.2.-ის ბ. პუნქტებიდან ამოღებული იქნეს სიტყვა " EXCEL", მე-6 მუხლის ა. პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა "ან ფილოლოგიური", გ. პუნქტიდან ამოღებული იქნეს სიტყვა " EXCEL", მე-7 მუხლის ა. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: უმაღლესი ეკონომიკური ან სპეციალური საბუღალტრო განათლება, პროექტიდან ამოღებული იქნეს შენიშვნა;

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია დადგენილება:

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესის შესახებ დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანდართული ნიმუშის შესაბამისად;

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

(ნიმუში თან ერთვის)

5. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს:	დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი, დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის დამტკიცების შესახებ წარადგინა კომისიის წევრმა გუგული დუაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის № 414 ბრძანებულების 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისიის შექმნას დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის მიმდინარეობის კონტროლისა და მეთოდიკური დახმარების გაწევის მიზნით, ხოლო კომისიის ფუნქციებსა და უფლებებს, მისი მუშაობის ორგანიზაციას განსაზღვრავს წარმოდგენილი კომისიის დებულება
დაადგინეს:	დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის დებულება
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 5; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების "საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ" 55-ე მუხლის მე-4 პუნქტის, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპერტო კომისიის დებულება დანართის შესაბამისად.

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

(დანართი თან ერთვის)

6. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის შესახებ;

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული განკარგულების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დადგენის

	შესახებ და კომისიას საჯარო ინფორმაციაზე პასუხიმგებელ პირად წარუდგინა კომისიის მდივნის, ქეთევან ჯიქიას კანდიდატურა
დაადგინეს:	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად არჩეული იქნას კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 5; წინააღმდეგი 0;
	კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი;

მიღებულია განკარგულება:

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის აჭარის ავტონომიური უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაევალოს კომისიის მდივანს ქეთევან ჯიქიას;

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2005 წლის 19 ივლისის №48 განკარგულება "უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ";

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

7. ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უსკოს 2006 წლის ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებების თაობაზე ინფორმაცია

8. ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვის შესახებ;

მოისმინეს:	უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებმა იმსჯელეს უსკოს 2007 წლისათვის დასამტკიცებელ ხარჯთაღრიცვის შესახებ
სიტყვით გამოვიდა	თავმჯდომარის მოადგილე თამაზ შარმანაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ 2007 წლის ხარჯთაღრიცხვაში გასათვალისწინებელი და ჩასადებია შესაძლო არჩევნების დასაფინანსებელი თანხა
დაადგინეს:	დაევალოს ეკონომიკურ სამსახურს, მომავალი სხდომისათვის მოამზადოს ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

9. ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის შესახებ;

მოისმინეს:	კომისიის თავმჯდომარემ ინფორმაციის სახით კომისიის წევრებს გააცნო საერთო სამსახურის მიერ მომზადებული ნომენკლატურის პროექტი. საექსპერტო კომისიის შექმნის შემდეგ, პროექტი განიხილება მათ მიერ, შეთანხმდება საარქივო დეპარტამენტთან და დამტკიცდება კომისიის მომავალ სხდომაზე, დასძინა ბატონმა არჩილ მიქელაძემ

10. ინფორმაცია საარჩევნო ოლქების შენობა-ნაგებობების შესახებ

მოისმინეს:	კომისიის წევრის, ბატონ ასლან ჩავლეიშვილის ინფორმაცია საარჩევნო ოლქების შენობა-ნაგებობების არსებობისა და მათი მდგომარეობის შესახებ

11. სხვადასხვა

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია